

„სამშობლო ან სიკვდილი!“

—„სამშობლო ან სიკვდილი!“ გაზაფხულის მეხივით გასკდა კუბის რევოლუციური მთავრობის ხელმძღვანელის ფიდელ კასტროს პატრიოტული მოწოდება, რომელსაც ხმა მისცა კუბის ექვსმილიონიანმა მოსახლეობამ და მთელმა პროგრესულმა კაცობრიობამ. კუბა გაეხვია რევოლუციის ალში და გმირმა ხალხმა ვაჟკაცურად დაიცვა თავისი წმიდათაწმიდა პრინციპები.

კუბა შეუდგა ახალი ცხოვრების შენებას და ამ კეთილშობილურ საქმეში მას მხარში ამოუდგნენ მსოფლიოს მშვიდობისმოყვარე ხალხები. რევოლუციის გზაზე მყოფ ახალგაზრდა რესპუბლიკას ძალღონით და სიცოცხლით სავსე თაობა ესაჭიროებოდა, რომელიც გაჭირვების ჟამს მკერდით დაიცავდა რევოლუციის მონაპოვარს. ამიტომ სახალხო მთავრობამ თავისი მოღვაწეობის პირველსავე დღეებში დღის წესრიგში დააყენა ფიზიკური კულტურისა და სპორტის რეორგანიზაციის საქმე.

ხალხს მაგალითს თვით ფიდელ კასტრო აძლევდა.

რევოლუციური მთავრობის ხელმძღვანელის მთელი ცხოვრება მჭიდრო კავშირში იყო და არის სპორტთან. ფიდელ კასტრო სულით და გულით სპორტსმენია. ახალგაზრდობაში იგი გატაცებული იყო ფეხბურთით, თამაშობდა სტუდენტთა გუნდში, ამიტომ დღეს იგი ამ პოპულარული თამაშის ერთ-ერთი აქტიური გულშემატკივარია. ფიდელ კასტრო მძლეოსანთა შეჯიბრებების ხშირი სტუმარია. მას კარგად ესმის, თუ რა მნიშვნელობა აქვს სპორტს ახალგაზრდობის ფიზიკური გაჯანსაღების საქმეში. ამიტომ იგი აქტიურ მონაწილეობას იღებს სტადიონების, სპორტული დარბაზებისა და ბაზების მშენებლობაში.

მაგრამ ფიდელ კასტროს აქვს თავისი სიყვარული, რომელსაც იგი საქმეების მიუხედავად დღესაც არ ღალატობს, ესაა ნადირობა და თევზაობა. კუბაში დიდი პოპულარობით სარგებლობს ტრადიციული ტურნირი, რომელიც თანამედროვეობის სასახელო მწერლის ე. ჰემინგუეის სახელს ატარებს. ყოველწლიურად იკრიბებიან თევზაობის მოყვარულნი ერთ გარკვეულ ადგილას, სადაც ჩამოდიან მეზობელი ქვეყნების სპორტსმენები და იმართება საინტერესო შეჯიბრება სპინინგში. ტურნირის უცვლელი მონაწილეა კუბის რევოლუციური მთავრობის ხელმძღვანელი ფიდელ კასტრო, ნაციონალური ბანკის პრეზიდენტი ერესტო ჩე გევარა და სხვები.

ამ სურათზე თქვენ ხედავთ ფიდელ კასტროს, რომელსაც პირველი დარტყმით შეჰყავს ბურთი თამაშში. ფოტო გადაღებულია კუბის საფეხბურთო ჩემპიონატის ერთ-ერთი კალენდარული მატჩის დაწყების წინ. სურათზე აღბეჭდილი ფაქტი უბრალო საზეიმო ცერემონიალი არ არის, იგი გამოხატავს კუბელი ხალხის ეროვნული გმირის ღრმა სიყვარულს ფიზკულტურისა და სპორტისადმი.

ფორუმის მონაწილენი საუბროვენ სპორტზე

მოსკოვში მუშაობას განაგრძობს მსოფლიოს ახალგაზრდობის ფორუმი. 27 ივლისს მუშაობა დაიწყეს სხვადასხვა კომისიებმა, მათ შორის კომისიამ სპორტის პრობლემებზე. ფორუმის მონაწილეებმა გულთბილი შეხვედრა მოუწყეს ცნობილ საბჭოთა სპორტსმენებს ვ. ბრუმელს, ბ. ლაგუტინს, გ. შატკოვს, პ. და ა. კოლჩინებს და სხვებს. გაიმართა აზრთა გაცხოველებული გაცვლა-გამოცვლა

აფრიკელი ახალგაზრდობა განსაკუთრებული ინტერესით ესაუბრებოდა ცნობილ მოთხილამურეებს პ. და ა. კოლჩინებს. იმ ქვეყნის ახალგაზრდები, სადაც არ იცის ზამთარი, დიდი გულისყურით უსმენდნენ მოგონებებს ზამთრის ოლიმპიური თამაშების შესახებ.

ფრანგებმა სხდომებს შორის შესვენების დროს „დაატყვევეს“ მსოფლიოს რეკორდსმენი სიმაღლეზე ხტომაში ვ. ბრუმელი. ისინი შეკითხვას შეკითხვაზე აყრიდნენ გამოჩენილ მძლეოსანს, ცდილობდნენ გარკვეულიყვნენ მისი ცხოვრების ყველა დეტალში. და რა თქმა უნდა, ყველას პირველ რიგში აინტერესებდა მსოფლიო რეკორდსმენის მომავალი გეგმები. —რა სიმაღლის დაძლევას აპირებთ ახლო მომავალში?—ეკითხება ბრუმელს ახალგაზრდა ფრანგი.

—უახლოესი შეჯიბრება, რომელშიც მივიღებ მონაწილეობას, — პასუხობს მსოფლიო რეკორდსმენი, —მოეწყობა ჯელ ქალაქ მოსკოვში ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალურ სტადიონზე. ჩემი აზრით, ადვილია 2 მეტრი და 25 სანტიმეტრიანი ფრანგი ახალგაზრდები გულითად მადლობას უხდიან ვ. ბრუმელს საუბრისათვის.

საღამოს სხდომებზე ფორუმის მონაწილეებმა განიხილეს ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარების საკითხები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში. ახალგაზრდები ერთხმად მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ კიდევ უფრო მეტად უნდა განმტკიცდეს სპორტული კავშირი სამყაროს ხუთივე კონტინენტის წარმომადგენლებს შორის.

29

ივლისი

შაბათი,

1961 წ.

№ 109 (1745)

გავოცემის მე-17 წელი.

ფასი 3 კაპ.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО

Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

ᲓᲘᲜᲐᲛᲝᲔᲚᲗᲐ ᲡᲞᲐᲠᲯᲐᲙᲘᲐᲓᲐ

ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქში მიმდინარეობს სპორტსაზოგადოება „დინამოს“ საკავშირო სპარტაკიადა.

დიდ ინტერესს იწვევდა შეჯიბრება წყალბურთში. აქ თავიდანვე დაწინაურდნენ თბილისელი სპორტსმენები. მათ მორიგი შეხვედრა ჰქონდათ მოსკოველ თანაკლუბელებთან. ეს მატჩი დამთავრდა თბილისელთა გამარჯვებით ანგარიშით 2:1, მაგრამ მოსკოველებმა მატჩი გააპროტესტეს, მსაჯთა კოლეგიამ შედეგი გააუქმა და დანიშნა განმეორებითი თამაში. ამ მატჩშიც გამარჯვებული გამოვიდნენ ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლები — 4:3 და მოიპოვეს საზოგადოების ჩემპიონის სახელი. თბილისის „დინამოს“ ხუთმა მოთამაშემ — ზ. ლომიძემ, ვ. სანაძემ, ბ. მარგიევმა, ჯ. წიკლაურმა და ბ. ქართველიშვილმა შეასრულეს სპორტის ოსტატის ნორმა.

ალაბამურთელთა შეჯიბრებას ლიდერობს ამ საზოგადოების მრავალგზის ჩემპიონი თბილისის „დინამო“, რომელსაც 6 გამარჯვება აქვს. მძლეოსნები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ მოსკოვში. სიმაღლეზე ხტომაში ტოლი არა ჰყავდა ოლიმპიურ ჩემპიონს რ. შავლაყაძეს (205 სმ), ხოლო ქალთა შორის ბადროს ტყორცნაში — ლ. ტუღუშს — 49,72. როსტოველ სპორტის მოყვარულთა დიდი ინტერესი გამოიწვია ტანმოვარჯიშეთა გამოსვლებმა. გუნდურ ჩათვლაში საქართველოს გუნდმა დაიკავა მეორე ადგილი. პირად პირველობაზე მ. ნინოშვილი მეორე იყო. მესამე ადგილი წილად ხვდა დ. ჯანუყაშვილს.

ხარკოვის საწყლოსნო ბაზებზე მიმდინარეობდა წყალში მხტომელთა შეჯიბრება. აქ 1 და 3-მეტრიან ტრამპლინიდან ხტომაში ჩემპიონის სახელი მოიპოვა თბილელმა ბ. პოლულიახმა.

კიევში გამართულ ძალოსანთა შეჯიბრებაზე ქვემსუბუქი წონის სპორტსმენებში პირველი იყო სპორტის დამსახურებული ოსტატი რ. ჩიმიშკიანი.

დარჩა სამი ტური

ᲗᲣᲚᲐ. (ჩვენი სპეც. კორ.). თბილისის „ბურევესტნიკის“ ვაჟთა გუნდს მორიგი შეხვედრა საბჭოთა კავშირის პირველობაზე ფრენბურთში ჰქონდა კიევის „ლოკომოტივთან“. თბილისელებმა კარგად ჩაატარეს მატჩი და დაამარცხეს მოწინააღმდეგე ანგარიშით 3:0 (15:13, 17:15, 15:10). თბილისელებს ორი შეხვედრა დარჩათ ჩასატარებელი (მოსკოვის „ლოკომოტივთან“ და ოდესის „ბურევესტნიკთან“).

დღეისათვის სატურნირო ცხრილში ასეთი მდგომარეობაა: პირველ ადგილზეა ცსკა (მოსკოვი)— 12 ქულა, მეორეზე — სკიფ-ი (რიგა) — 7 ქულა, მესამეზე — „ბურევესტნიკი“ (მოსკოვი) — 6 ქულა, მეოთხეზე — „ბურევესტნიკი“ (ოდესა) — 6 ქულა, მეხუთეზე — „ბურევესტნიკი“ (თბილისი) — 5 ქულა, 4-4 ქულით მომდევნო ადგილებზე არიან სკა (ლენინგრადი), „ლოკომოტივი“ (კიევი) და „ლოკომოტივი“ (მოსკოვი).

ბ. ᲮᲝᲨᲢᲐᲠᲘᲐ

ᲒᲣᲡᲢᲘ ᲡᲢᲠᲝᲚᲘᲡ ᲝᲡᲢᲐᲢᲔᲑᲘ

მოსკოვის მახლობლად „ლოკომოტივის“ სტენდზე გრძელდება საბჭოთა კავშირის პირველობის გათამაშება სასტენდო სროლაში.

პირველი ადგილი სასანგრო სტენდზე მოიპოვა უკრაინის სპორტსმენთა კოლექტივმა. მომდევნო ადგილებზე გამოვიდნენ ლენინგრადის და მოსკოვის წარმომადგენლები.

მრგვალ სტენდზე სროლაში უძლიერესი იყო რუსეთის ფედერაციის გუნდი. მეორე ადგილზე გამოვიდა მოსკოვის, ხოლო მესამეზე — საქართველოს სპორტსმენთა კოლექტივი.

სასტენდო სროლის ორივე სახეობის კომპლექსში გაიმარჯვა რუსეთის ფედერაციის გუნდმა, შემდეგ არიან უკრაინელი და მოსკოველი მსროლელები.

Ი. ᲠᲘᲚᲡᲙᲘ—ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲘ

საინტერესო ბრძოლებით აღინიშნა მსოფლიო პირველობის გათამაშება დაშნით ფარიკაობაში.

გამარჯვება მოიპოვა ფრანგმა ჟ. გიუიტემ, ვერცხლის მედალი ერგო ხ. ლაგერვალას (შვეიცარია), ხოლო ბრინჯაოსი ტ. გაბორს (უნგრეთი). საბჭოთა მოფარიკაველები ბ. ხაბაროვი და ა. ჩერნუშევიჩი შესაბამისად მეოთხე-მეხუთე ადგილებზე გამოვიდნენ.

ესპადრონისტთა ტურნირი წარმატებით გაიარა საბჭოთა კავშირის წარმომადგენელმა ი. რილსკიმ, იგი გახდა მსოფლიოს ჩემპიონი ფარიკაობის ამ სახეობაში.

სურათზე: ი. რილსკი.

მოტოციკლებით იპოდრომზე

მოსკოვში გაიმართა საბჭოთა კავშირის პირად-გუნდური პირველობის გათამაშება საიპოდრომო მოტორბოლაში .125 კბ სმ კლასის მოტოციკლებით რბოლაში პირველი ადგილი დაიკავა რუსეთის ფედერაციის წარმომადგენელმა კლევნოვმა.

საინტერესო ბრძოლით აღინიშნა 350 კბ სმ კლასის მოტოციკლისტთა შეჯიბრება. ფინალში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს რუსეთის ფედერაციის, მოსკოვისა და უკრაინის მოტოციკლისტებმა. ფინალისტთა შორის იყო აგრეთვე საქართველოს გუნდის წევრი გრიგორიანი. გადამწყვეტ ბრძოლაში მაღალი ოსტატობა გამოამჟღავნა რუსეთის ფედერაციის წარმომადგენელმა ი. ალენიუკმა, რომელმაც მოიგო კიდეც ჩემპიონის საპატიო სახელი.

ერთიანი საკავშირო სპორტული კლასიფიკაცია

1961–1964 წლებისათვის

* * * *

აკადემიური ნიჩბოსნობა

სათანრიგო მოთხოვნები

ვაჟები და ქალები

სპორტის ოსტატი — დაიკავოს I–II ადგილები საკავშირო პირველობაზე,

ან

იმავე შეჯიბრებაზე დაიკავოს ორჯერ მესამე ადგილი სამი წლის განმავლობაში,

ან

საბჭოთა კავშირის პირველობის ფინალში მეორე ადგილზე გამოსული სპორტსმენის შემდეგ დაიკავოს ადგილი შეჯიბრებაში გამარჯვებულთან დასაშვები ჩამორჩენით (იხ. ცხრილი — 1, სვეტი — 1),

ან

დაიკავოს პირველი ადგილი მოკავშირე რესპუბლიკების, მოსკოვისა და ლენინგრადის, ან სპორტულ საზოგადოებათა და უწყებების ცენტრალური საბჭოების პირველობებზე, თუ მოცემული კლასის ნავების შეჯიბრებაში მონაწილეობს მოქმედი სპორტის ოსტატების არანაკლებ ორი გუნდისა და პირველთანრიგოსანი სპორტსმენების ორი გუნდი,

ან

დაიკავოს II–III ადგილი ზემოჩამოთვლილ შეჯიბრებების ფინალში, თუ მოიპოვებს გამარჯვებას მოქმედი სპორტის ოსტატების სულ ცოტა ორ გუნდზე, გამარჯვებულთან დასაშვები ჩამორჩენით (იხ. ცხრილი 1. სვეტი — 2).

I თანრიგი — მონაწილეობდეს საკავშირო პირველობის ფინალში ნავების რომელიმე კლასში,

ან

დაიკავოს I–II ადგილი მოკავშირე რესპუბლიკების, მოსკოვისა და ლენინგრადის, ან სპორტულ საზოგადოებათა და უწყებების ცენტრალური საბჭოების პირველობებზე პირველი თანრიგის ორ გუნდზე გამარჯვებით,

ან

არანაკლებ საქალაქო მასშტაბის შეჯიბრებებზე დაიკავოს პირველი ადგილი, ან ორჯერ მეორე ადგილი სეზონის განმავლობაში პირველი თანრიგის ორ გუნდზე, ან მეორე თანრიგის ოთხ გუნდზე გამარჯვებით ნავების რომელიმე კლასში, დაიკავოს პირველი ადგილი ახალგაზრდობის საკავშირო შეჯიბრებებზე,

ან

არანაკლებ საქალაქო მასშტაბის ოფიციალურ შეჯიბრებაზე შეასრულოს დაწესებული დროის ნორმატივი.

II თანრიგი — ნებისმიერ ოფიციალურ შეჯიბრებებზე სეზონის განმავლობაში დაიკავოს პირველი ადგილი, ან ორჯერ მეორე ადგილი მეორე თანრიგის ორ გუნდზე, ან მესამე თანრიგის ოთხ გუნდზე გამარჯვებით ნავების ერთ-ერთ კლასში,

ან

ნებისმიერ ოფიციალურ შეჯიბრებაზე შეასრულოს დაწესებული დროის ნორმატივი.

III თანრიგი — ნებისმიერ ოფიციალურ შეჯიბრებაზე დაიკავოს პირველი ადგილი მესამე თანრიგის ორ გუნდზე, ან ახალბედათა სამ გუნდზე გამარჯვებით სასწავლო ნავების რომელიმე კლასში,

ან

შეასრულოს დაწესებული დროის ნორმატივი.

მოზარდთა I თანრიგი — უფროსი ასაკის მოზარდთა ნებისმიერ ოფიციალურ შეჯიბრებებზე სეზონის განმავლობაში დაიკავოს პირველი ადგილი, ან ორჯერ მეორე ადგილი ჭაბუკთა I თანრიგის ორ გუნდზე, ან ჭაბუკთა II თანრიგის სამ გუნდზე გამარჯვებით,

ან

შეასრულოს დაწესებული დროის ნორმატივი.

მოზარდთა II თანრიგი — საშუალო ასაკის მოზარდთა ნებისმიერ ოფიციალურ შეჯიბრებაზე დაიკავოს პირველი ადგილი თუ შეჯიბრებაში მონაწილეობს ახალბედათა არანაკლებ სამი გუნდისა სასწავლო ნავების ერთ-ერთ რომელიმე კლასში.

თანრიგის დასამტკიცებლად — შეასრულოს შესაბამისი თანრიგისათვის დაწესებული მოთხოვნები და ნორმატივები ნავების ერთ-ერთ რომელიმე კლასში.

შენიშვნა: არანაკლებ საქალაქო მასშტაბის ოფიციალურ შეჯიბრებებში, რომლებშიც მონაწილეობს არანაკლებ 10 გუნდისა რომელიმე კლასში — გამარჯვება ნახევარფინალში კვალიფიცირდება ისე, როგორც დამოუკიდებელ შეჯიბრებაში. მოცემულ შემთხვევაში ფინალურ გასვლებში შესაბამისი თანრიგის მიღების უფლება აქვს არა ერთს არამედ ორ პირველ გუნდს (ეს არ ეხება სპორტის ოსტატთა თანრიგს).

პირველი კლასის მესაჭე — ჰქონდეს სამი წლის სტაჟი, არანაკლებ 15 შეჯიბრებაში (მათ შორის სამ საკავშირო მასშტაბის შეჯიბრებაში) მესაჭედ მონაწილეობისას,

მეორე კლასის მესაჭე — ჰქონდეს ორი წლის სტაჟი არანაკლებ 10 შეჯიბრებაში (მათ შორის რესპუბლიკური მასშტაბის სამ შეჯიბრებაში) მესაჭედ მონაწილეობისას.

მესამე კლასის მესაჭე — ჰქონდეს ერთი წლის სტაჟი არანაკლებ ხუთ შეჯიბრებაში მესაჭედ მონაწილეობისას.

სათანრიგო მოთხოვნები

ვაჟები და ქალები

ნებისმიერ ოფიციალურ შეჯიბრებებზე მდგარ ან გამდინარ წყალზე, რომლის დინების სისწრაფეა არაუმეტეს 0,08 მეტრ-წამისა, ზურგქარის დროს, რომლის სისწრაფე არ აღემატება 1 მეტრ-წამს, აჩვენოს შემდეგი შედეგები.

შენიშვნა: დროის ნორმატივები შესრულებულად ჩაითვლება მხოლოდ მსაჯთა კოლეგიის აქტის არსებობის დროს. აქტში დამტკიცებული უნდა იყოს დისტანცია მისი გეოდეზიური გეგმის მიხედვით, აღნიშნული უნდა იყოს ქარისა და წყლის დინების სისწრაფე მოცემული გასვლების დროს.

სათანრიგო მოთხოვნებისა და ნორმატივების შესრულების პირობები

1. სპორტის ოსტატის ნორმატივის ჩათვლისათვის ნიჩბოსანმა სათანრიგო ნორმატივის ჩათვლის გარდა უნდა იცოდეს ადგილობრივ აუზში ცურვის წესები და შეეძლოს წყალზე მეცადინეობის უშიშროების უზრუნველყოფა.

2. გუნდის თანრიგოსნობა განისაზღვრება მის შემადგენლობაში უფროსი ასაკის ნიჩბოსანთა 50%-ის არსებობით (მაგალითად თუ ოთხადგილიანში ორი ნიჩბოსანი პირველთანრიგოსანია, მაშინ მოცემული შეჯიბრებისათვის გუნდი კვალიფიცირდება, როგორც პირველთანრიგოსანი).

3. დისტანცია ყველა თანრიგისათვის უნდა იყოს: ვაჟებისათვის— 2000 მ, ქალებისათვის — 1000 მ, უფროსი ასაკის ჭაბუკებისათვის — 1500 მ, უფროსი ასაკის გოგონებისათვის — 800 მ, საშუალო ასაკის ჭაბუკებისა და გოგონებისათვის შესაბამისად 1000 და 500 მ.

4. მესაჭის კლასის მინიჭებისათვის ნიჩბოსანმა უნდა იცოდეს ნაოსნობის წესები და უსაფრთხოების უზრუნველყოფა წყალზე მეცადინეობის დროს. ჭაბუკთა თანრიგი და მესაჭის კლასი ენიჭებათ 15 წლის ასაკს მიღწეულ პირებს. მესაჭეებს ეძლევათ შესაბამისი მოწმობები ჩათვლების შემდეგ, რომელსაც იბარებს ნიჩბოსნობის არანაკლებ საქალაქო მასშტაბის ფედერაციის ან სექციის მიერ დამტკიცებული მსაჯთა კოლეგია.

5. მაღალი თანრიგი ენიჭება უსაფლოესი დაბალი თანრიგის მქონე სპორტსმენს.

6. სათანრიგო ნორმატივების შესრულება ეთვლება სპორტსმენს, რომელიც წლის განმავლობაში მონაწილეობდა არანაკლებ შემდეგი რაოდენობის შეჯიბრებებში: ჭაბუკთა I და II თანრიგი — 3-ჯერ, III თანრიგი — 4-ჯერ, II თანრიგი — 6-ჯერ, I თანრიგი — 7-ჯერ, სპორტის ოსტატი — 8-ჯერ.

7. სპორტული თანრიგები და მესაჭის კლასი ენიჭებათ იმ პირებს, რომლებმაც იციან ცურვა.

ნავების კატეგორია	თანრიგი I (სარბოლო ნავები)	II (სარბოლო ნავები)	III (სასწავლო ნავები)	ჭაბუკთა (სარბოლო ნავები)
ვაჟები (2.000 მ დისტანცია)				
ერთადგილიანი	7.25	7.45	8.40	7.50
2-ადგილიანი წყვილმოს.	6.55	7.15	8.10	7.20
2-ადგილიანი უმესაჭოდ	7.20	7.40	—	7.45
2-ადგილიანი მესაჭით	7.50	8.05	9.00	8.10
4-ადგილიანი უმესაჭოდ	6.45	7.00	—	7.05
4-ადგილიანი მესაჭით	6.50	7.10	8.00	7.15
8-ადგილიანი	6.10	6.20	6.20	6.25
ქალები (1.000 მ დისტანცია)				
ერთადგილიანი	3.58	4.05	5.00	4.08
2-ადგილიანი წყვილმოს.	3.18	3.55	4.45	3.55
4-ადგილიანი წყვილმოს.	3.35	3.45	4.30	3.48
4-ადგილიანი გასაშლელი	3.45	3.55	4.35	3.58
8-ადგილიანი	3.25	3.30	4.20	3.33

დასაშვები ჩამორჩენა შეჯიბრებაში გამარჯვებულთან

ნავების კლასი	ჩამორჩენა არაუმეტეს (წამებში)		ნავების კლასი	ჩამორჩენა არაუმეტეს (წამებში)
ვაჟები			**ქალები**	
ერთადგილიანი	—	—	ერთადგილიანი	5,5
2-ადგილიანი მესაჭით	5	4	2-ადგილიანი წყვილმოსასმელიანი	—
2-ადგილიანი უმესაჭოდ	—	—	4-ადგილიანი გასაშლელი	5
2-ადგილიანი წყვილმოსასმელიანი	—	—	4-ადგილიანი წყვილმოსასმელიანი	4,8
4-ადგილიანი მესაჭით	4,5	3,7		
8-ადგილიანი	3,5	3	8-ადგილიანი	4,5

ლ ე ლ ო

მე-2 გვ. № 109 (1745)

ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანაში მეტალურგების უფროს თაობასთან ერთად შემოქმედებითად შრომობს ქარხნის ახალგაზრდობა. 600-ზე მეტი ჭაბუკი და ქალიშვილი ქარხნის ყველა უბანზე შრომის შესანიშნავ ნიმუშებს იძლევა, იბრძვის მაღალხარისხოვანი ლითონის გამოშვებისათვის, სამშობლო ყოველდღიურად ასეულობით ტონა ზეგეგმით ფეროშენადნობს იღებს.

ფეროელი ახალგაზრდები ამასთან ერთად მეცადინეობენ სპორტის სხვადასხვა სახეობაში, მონაწილეობენ საქარხნო, სარაიონო და რესპუბლიკურ შეჯიბრებებში, რათა მეტი სარგებლობა მოუტანონ სამშობლოს და საამაყო შრომითი საჩუქრებით შეხვდნენ შობლიური კომუნისტური პარტიის XXII ყრილობას.

რ. სხილაძეს ქარხანაში იცნობენ, როგორც ლითონის დნობის ოსტატსა და მოწინავე სპორტსმენს. მისმა ბრიგადამ, ერთ-ერთმა პირველმა, მოიპოვა კომუნისტური შრომის ბრიგადის საპატიო წოდება და განვლილ 6 თვეში გაანადგა 8 თვის დავალება.

—შრომაში დიდად შემიწყო ხელი სპორტმა. ფეხბურთისა და ძალოსნობის სექციაში სისტემატური წვრთნა და მეცადინეობა დიდ ძალასა და ენერგიას მმატებს, — განაცხადა რეზო სხილაძემ.

ასევე კარგად უთავსებენ ერთმანეთს შრომასა და სპორტს მოწინავე ახალგაზრდები: თ. კიკნაველიძე, ი. ცხადაძე, რ. ჯიაძე, ჯ. გოგიაშვილი და სხვანი. ისინი ყოველდღიურად ადიდებენ გამომუშავების ნორმებს, იძლევიან მაღალხარისხოვან პროდუქციას.

ჯ. მაღლაკელიძე საუკეთესო ფეხბურთელი და მოფარიკაველი. იგი პირველ საამქროში მუშაობს, სისტემატურად ზრდის ელექტროღუმელის სადღეღამისო წარმადობას. შრომასა და სპორტში მოწინავენი არიან საამქროს ცვლის ოსტატები ი. ცქიტიშვილი და ... კასრაძე. ისინი ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობას ყოველთვის დიდი რაოდენობის ძვირფასი შენადნობს აძლევენ.

შრომის ავანგარდში კიდევ ... ვრი ახალგაზრდა დგას, რომელიც ... ფიზკულტურული მოძრაობის ... თუზიასტები არიან. ისინი პარტიის XXII ყრილობას უძღვნიან ... ვიანთ წარმატებებს შრომასა ... სპორტში.

ს. ტალახა...

მუზინავენი შრომასა და სპორტში

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხუთი სპორტის ოსტატი

დამთავრდა „ბურევესტნიკის“ თასის გათამაშება მხატვრულ ტანვარჯიშში

ოსტატთა ნებისმიერმა პროგრამამ მხატვრულ ტანვარჯიშში დიდძალი მაყურებელი მიიზიდა. ამ დღეს ყველაზე მაღალი შეფასება მიიღო ივანოველმა ფ. ალფეროვამ. მან დიდი მონდომებითა და ოსტატობით შეასრულა ვარჯიში გუნოს მუსიკის თანხლებით და მსაჯებმა ვარჯიშის დამთავრებისას აჩვენეს ერთნაირი შეფასება—9,7 ქულა. ბრწყინვალე იყო მისი კომბინაციები სახტუნელა თოკითაც. სპორტსმენმა მაყურებლები მოხიბლა სიმსუბუქით და სიზუსტით. სამწუხაროდ, ამ ვარჯიშში ალფეროვამ ორი მცირე შეცდომა დაუშვა და შეფასებაც 9,4 ქულამდე დავიდა.

ამ დღეს მაღალი შეფასებები დაიმსახურეს აგრეთვე გროზნოელმა სპორტსმენებმა დ. ალიკოვამ და ნ. ვორობიოვამ, სვერდლოვსკელმა გ. გალმაკოვამ.

საპრიზო ადგილის ერთ-ერთ მთავარ პრეტენდენტად ითვლებოდა გამოცდილი ლვოველი ოსტატი ლეონკინა, რომელიც ჩვენი ქვეყნის ნაკრები გუნდის წევრია. მაგრამ მან ცუდად შეასრულა სავალდებულო პროგრამა და უარი განაცხადა ნებისმიერ ვარჯიშში გამოსვლაზე.

ამ საინტერესო შეჯიბრების უკანასკნელი დღე ნამდვილი დამაგვირგვინებელი აკორდი იყო. თავიანთი უკანასკნელი სიტყვა უნდა ეთქვათ იმ სპორტსმენებს, რომლებიც სავალდებულო პროგრამის გავლის შემდეგ იბრძოდნენ საპრიზო ადგილებისათვის. საინტერესო იყო სხვა მომენტიც: საქართველოს 5 ახალგაზრდა ტანმოვარჯიშეს საუკეთესო შანსები ჰქონდა სპორტის ოსტატობის შესასრულებლად. შეძლებენ თუ არა ისინი ამას?

შეჯიბრების უკანასკნელ დღეს დიდი ესთეტიკური სიამოვნება მიანიჭა მაყურებლებს ლენინგრადელ ე. სუმაროკოვას ვარჯიშმა ლენტით. საოცარი სიმსუბუქითა და პლასტიკურობით გამოირჩეოდა ვ. კოლჩუნოვას ვარჯიში შარფით, რომელიც მ. ნ ლისტის „ნუგეშის“ ჰანგებზე შეასრულა.

მაყურებლებით გაჭედილი დარბაზი გაინაბა, როცა მსაჯებმა სავარჯიშოდ გამოიძახეს ქართველი სპორტის ოსტატი ნელი სალაძე. მან შეასრულა ნებისმიერი კომბინაციები ჩხაიძის „მუსიკალური მომენტის“ თანხლებით. სალაძის მოძრაობები გამოირჩეოდა სრულყოფილობით, მთლიანად ერწყმოდა მუსიკალურ თანხლებას. როცა მუსიკა ნელი ლირიკული ხმოვანებიდან ბობოქარ აკორდებში გადადიოდა, ტანმოვარჯიშის სხეულიც შესაბამისად აკეთებდა ნახტომებს, რთულ ტრიალს და სხვა ეფექტურ ელემენტებს. ისევე, როგორც ალფეროვამ, ნ. სალაძემ დაიმსახურა ამ შეჯიბრების უმაღლესი შეფასება — 9,7 ქულა.

ასეთივე წარმატებით შეასრულა ქართველმა ტანმოვარჯიშემ ვარჯიში დიდი მბრწყინავი ბურთით. მან კიდევ ერთხელ დაამტკიცა თავისი სპორტული ორიგინალობა. დიდი ბურთი მთლიანად ემორჩილებოდა მისი ხელების მოძრაობას, მუსიკის რიტმის ქვეშ გორავდა, ხტუნაობდა, ჰაერში იჭრებოდა და უძრავად იდო ხელისგულზე მაშინაც კი, როცა სპორტსმენი თავბრუდამხვევ ტრიალს ასრულებდა. ამ ვარჯიშის საბოლოო შეფასებამ ნ. სალაძეს პირველი ადგილი მოუტანა. მან პირველად გაიმარჯვა ასეთ დიდ საკავშირო მასშტაბის შეჯიბრებაში.

კარგად მომზადებული წარსდგნენ ამ შეჯიბრებაზე ჩვენი რესპუბლიკის სხვა სპორტსმენებიც. სასიხარულო ფაქტია: ოსტატობის ხუთივე კანდიდატმა წარმატებით შეასრულა ნებისმიერი ვარჯიშები და მასთან ერთად სპორტის ოსტატის ნორმაც. აი მათი შედეგებიც: ს. მაჭავარიანი — 54,95 ქულა, ვ. ციპლისი — 54,65 ქულა, გ. ზალკინდი — 54,4, ნ. ნოვიჩენკო—54,25, და ე. ხუბულავა — 54,25 ქულა.

შეჯიბრების საბოლოო შედეგები პირველი ექვსი ადგილის მიხედვით ასეთია: ნ. სალაძე (თბილისი) — 57,65, ფ. ალფეროვა (ივანოვო) — 57,15, ე. სუმაროკოვა (ლენინგრადი) — 56,85, ნ. ხერხეულიძე (თბილისი) — 56,25, დ. ალიკოვა (გროზნო) — 56,15, ი. ზიაბინა (ბაქო) — 56,05.

ნ. სალუქვაძე,
შეჯიბრების მთავარი მსაჯი.

* * *

სურათზე: „ბურევესტნიკის“ ცენტრალური საბჭოს პირველობაზე მონაწილე ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენები, რომლებმაც შეასრულეს ოსტატის ნორმა მხატვრულ ტანვარჯიშში; მარცხნიდან — ნ. ნოვიჩენკო, გ. ზალკინდი, ვ. ციპლისი, ე. ხუბულავა და ს. მაჭავარიანი.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

თასი გათამაშდა

დამთავრდა თბილისის თასის გათამაშება ფეხბურთში ფიზკულტურის კოლექტივებს შორის.

უნდა აღინიშნოს, რომ თასის დებულებით გათვალისწინებული შეჯიბრებები ადგილებზე არ ჩაატარეს სახელმწიფო უნივერსიტეტის, ზოოტექნიკურ-სავეტერინარო ინსტიტუტის, „დინამოს“, თბილისის ელექტრომავალმშენებელი ქარხნის, სამგორის რაიონისა და სხვა კოლექტივებმა, რის გამოც მასობრიობის საკითხი სათანადოდ არ იქნა გადაჭრილი.

თასის ფინალური მატჩი გათამაშდა ფიზკულტურის ინსტიტუტისა და მაუდ-კამვოლის კომბინატის გუნდებს შორის. სტუდენტებმა კარგად ჩაატარეს ფინალი, გაიმარჯვეს ანგარიშით 3:0 და მოიპოვეს თასი.

სამწუხაროდ, კიდევ ერთხელ გვიხდება ლაპარაკი დისციპლინის დარღვევის შემთხვევათა შესახებ. სხვადასხვა დანაშაულისათვის მინდვრიდან იქნენ გაძევებული გეგეჭკორი (ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხანა), ცატურაშვილი (შამპანური ღვინების ქარხანა), ელაშვილი (ავტო-სარემონტო ქარხანა), გუკასოვი და ხარატიშვილი (პოლიტექნიკური ტექნიკუმი) და სხვანი.

ა. ბონელი

II ჯგუფის მატჩები

ჩატარდა მორიგი მატჩები საქართველოს პირველობაზე ფეხბურთში II ჯგუფის გუნდებს შორის. მოგვყავს ტექნიკური ანგარიშები:

„შირაქი“ (წითელწყაროა)-„ჩანჩური“ (ლაგოდეხი) — 4:0, „ბახტრიონი“ (ახმეტა)-„ვარსკვლავი“ (წითელწყაროა) — 1:2, ადგ. მრეწ. კომბ. (თეთრიწყაროა)-„მშენებელი“ (რუსთავი) — 1:1, „ახალგაზრდობა“ (ბოლნისი)-„ჯავახეთი“ (დმანისი) — 3:2, „ქართლი“ (გორი)-„იორი“ (თიანეთი) — 3:1, „განთიადი“ (კასპი)-„უღელტეხილი“ (ხაშური) — 4:0, „განთიადი“ (ბორჯომი)-„არაგვი“ (დუშეთი) — 7:1, „განთიადი“ (სამტრედია)-„განთიადი“ (ლანჩხუთი) — 1:3, „ლოკომოტივი“ (მახარაძე)-მექ. ქარხანა (აბაშა) — 2:0, „ალი“ (დიდი ბარანი)-ჰიდრომექანიკური ქარხანა (ფოთი) — 0:2, ჩაისუბანი (ჩოხატაური)-„სპარტაკი“ (მახარაძე)—1:3, „მერცხალი“ (ზუგდიდი)-ჩაის ფაბრ. № 1 (წალენჯიხა) — 1:3, სტალინის სახ. კოლ-ბა (ხობი)-„ამეგრელო“ (ზუგდიდი) — 0:2, „განთიადი“ (ზუგდიდი)-„სპარტაკი“ (ფაჯაია) — 4:0, „ხვამლი“ (ცაგერი)-საგზაო მშენებლობა (ონი) — 1:0, „საქგუმბრინი“ (წყალტუბო)-„კოლმეურნე“ (ამბროლაური) — 2:0, „ტორპედო“ (ვანი)-„ბოდიბუ“ (საჩხერე) — 7:3, საგზაო მშენებლობა (ონი)-„კოლმეურნე“ (ამბროლაური) — 5:0.

ქუთაისელები ფინალში

დერბენდი. (ტელეგრაფით ჩვენი კორ.). აქ მიმდინარეობდა „ა“ და „ბ“ კლასების ოსტატ ფეხბურთელთა კოლექტივებთან არსებულ მოზარდთა ჯუნდების საკავშირო ნახევარფინალური შეჯიბრება.

საუკეთესოდ ჩაატარეს გათამაშება ქუთაისის „ტორპედოს“ ნორჩმა ფეხბურთელებმა. მათ დაამარცხეს მოწინააღმდეგეები, მათ შორის მოსკოვის „ტორპედო“, სტალინოს „შახტიორი“ და გავიდნენ ფინალში, რომელიც უნდა ჩატარდეს ქ. კრემენჩუგში.

კ. ხურციძე,
გუნდის მწვრთნელი.

რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში

სტალინირი

სტალინირის საჭიდაო დარბაზში მოეწყო საოლქო გუნდური პირველობა ქართულ ჭიდაობაში. გაიმარჯვა ზნაურის რაიონის გუნდმა. მეორე ადგილზე არიან ლენინგორელები.

* * *

კასპისა და სტალინირის გუნდების სამატჩო შეხვედრა ქართულ ჭიდაობაში მოიგეს მასპინძლებმა — 6:2.

* * *

ჩატარდა სამხრეთ ოსეთის პირად-გუნდური შეჯიბრება მძლეოსნობაში. პროგრამაში იყო რბენა სხვადასხვა მანძილზე, ხტომა სიგრძეზე, სიმაღლეზე, ბირთვის კვრა, შუბისა და ბადროს ტყორცნა, ესტაფეტა 4×100 მეტრზე. ოლქის ჩემპიონები გახდნენ ა. ჩოჩიევი, რ. ჯაბიევი, ე. წახილოვა, მ. ბაზაევა, ი. ქელეხსაევი, ა. მანაშეროვი, ე. მარტიაშვილი, ნ. პინჩუკი და სხვები.

გუნდური პირველი ადგილი დაიკავეს სტალინირის მძლეოსნებმა, მეორე — ლენინგორის რაიონმა.

* * *

ფეხბურთში საოლქო თასის გათამაშებაში მონაწილეობა მიიღეს სტალინირის, ჯავის, ზნაურისა და ლენინგორის რაიონების ნაკრებმა გუნდებმა. ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ ლენინგორისა და სტალინირის გუნდები. ანგარიშით 4:3 გაიმარჯვეს ლენინგორელებმა.

ვ. მელქოევი

ჭადრაკი

გათამაშების ცხრილები

მოკავშირე რესპუბლიკათა

I ზონა

მდგომარეობა 28 ივლისისათვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„ლოკომოტივი“ (თბილისი)	17	10	5	2	30:11	25
„ხიმიკი“ (მოგილ.)	16	9	5	2	26:11	23
„შირაქი“ (ლენინაკ.)	16	8	6	2	30:14	22
რეზ-ი (რიგა)	17	8	4	5	31:20	20
„ლოკომოტივი“ (გომელი)	16	8	4	4	22:12	20
„კრ. ზნამია“ (ვიტებსკი)	16	6	5	5	25:21	17
ჭ. ბობრუისკი	16	5	7	4	18:18	17
„რიწა“ (სოხუმი)	16	7	2	7	25:20	16
„ლორი“ (კიროვაკ.)	16	6	4	6	15:13	16
„პიშჩევიკი“ (ტირას.)	15	6	3	6	17:27	15
„დინამო“ (ბათუმი)	16	3	8	5	15:20	14
„ბანგა“ (კაუნასი)	16	6	1	9	14:20	13
„ნისტრული“ (ბენდერი)	17	3	5	9	17:24	11
„სპარტაკი“ (ბრესტი)	16	4	3	9	14:27	11
„ხელმაში“ (ლიეპაია)	15	3	4	8	16:27	10
სკფ (ტალინი)	17	1	6	10	13:33	8

II ზონა

„შახტიორი“ (ყარაგანდა)	18	11	4	3	31:10	26
„ტორპედო“ (ქუთაისი)	16	13	0	3	29:10	26
„ნაირი“ (ერევანი)	17	10	3	4	41:21	23
„კოპეტ-დაგი“ (აშხაბადი)	16	11	1	4	36:19	23
„ენერგეტიკი“ (სტალინაბ.)	16	8	4	4	26:15	20
„მეტალურგი“ (რუსთავი)	15	9	1	5	26:20	19
„ტექსტილშჩიკი“ (კიროვაბ.)	16	8	3	5	22:18	19
„სტარტი“ (ტაშკენტი)	17	7	3	7	22:21	17
„პამირი“ (ლენინაბ.)	18	6	3	9	24:28	15
„ალგა“ (ფრუნზე)	17	6	2	9	23:28	14
„მეტალურგი“ (ჩიმკენტი)	16	4	5	7	29:34	13
„ტემპი“ (სუმგაითი)	16	5	2	9	18:28	12
„სპარტაკი“ (ფერგანა)	17	4	3	10	18:32	11
„სპარტაკი“ (ბაქო)	15	4	2	9	17:25	10
„მეტალისტი“ (ჯამბული)	17	3	2	12	15:36	8
„დინამო“ (სამარკ.)	17	2	4	11	20:52	8

ასე იზრდებოდა რეკორდი

სიგრძეზე ხტომაში ქალთა შორის პირველი მსოფლიო რეკორდი დაამყარა ნიდერლანდელმა ფ. ბლანკერს-კოენმა—6 მ 25 სმ 1934 წელს. მხოლოდ 20 წლის შემდეგ მიუმატა მას ახალზელანდიელმა ი. უილიამსმა 3 სანტიმეტრი. იმავე წელს რეკორდის მფლობელი გახდა საბჭოთა სპორტსმენი გ. ვინოგრადოვა — 631 სმ.

1956 წელს ე. კშესინკა-დუნსკამ (პოლონეთი) კიდევ 4 სანტიმეტრით გააუმჯობესა მსოფლიო რეკორდი, ხოლო შარშან **გდრ**-ს სპორტსმენმა ჰ. კლაუსმა აჩვენა ჯერ 6.40 მ, ხოლო შემდეგ—6,42. პირველი მსოფლიო რეკორდის 28 წლისთავზე ტ. შჩელკანოვამ მოსკოვში გამართულ აშშ-სსრ კავშირის მძლეოსანთა მატჩზე აჩვენა 6,48 სმ.



სურათზე: აშშ-ს მძლეოსანთა გუნდი, რომელიც ... ...